

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გენდერული თანასწორობის
მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის N119 ბრძანებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 29 აპრილის N 544 ბრძანებით დამტკიცებული გენდერული თანასწორობის სტრატეგიის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გენდერული თანასწორობის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების ზედამხედველობის მიზნით, შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **მაცა პეტრიაშვილი**;

ბ) მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ვასილ გარსევანიშვილი**.

გ) სამუშაო ჯგუფის უფროსი წევრები:

გ.ა) საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციის უფროსი **მაია ავალიანი**;

გ.ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლის სამმართველოს უფროსი **გიორგი ამანათიძე**;

დ) სამუშაო ჯგუფის წევრები:

დ.ა) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **შოთა შერმადინი**;

დ.ბ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის კარიერული დაგეგმვისა და მართვის სამმართველოს პირადი შემადგენლობის მართვის სისტემების განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ეკატერინე გახოკიძე**;

დ.გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტის ოპერაციების სამმართველოს საერთაშორისო მისიების განყოფილების ოფიცერი კაპიტანი **ნინო ჯავახიძე**;

დ.დ) საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ადმინისტრაციის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **თინათინ მურჯიკნელი**.

2. მონიტორინგის ჯგუფს დაევალოს, ზედამხედველობა გაუწიოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელებას და მინისტრის პირველ მოადგილეს წარუდგინოს 6 თვიანი ანგარიშები.

3. მონიტორინგის ჯგუფმა, თავდაცვის სისტემაში გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების დაფიქსირებისას, შემთხვევაზე რეაგირების მიზნით ჩართოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და უფლებამოსილი პირები. ჯგუფი აგრეთვე ვალდებულია შეისწავლოს გამოვლენილი დისკრიმინაციის მიზეზები და შედეგები და მოამზადოს რეკომენდაციები მსგავსი შემთხვევების განმეორების თავიდან ასაცილებლად.

4. შეიმუშავოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების გეგმა.

5. მონიტორინგის ჯგუფის სხდომების კოორდინაცია და ოქმების წარმოება დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს **ეკა ურუშაძეს**.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი

ირაკლი ალასანია